

2010 წლის ეკოლოგიური გრანტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების
მოკლე აღწერილობა

ასოციაცია ფლორა და ფაუნა

შავი ზღვის ეკოსისტემასა და შესაბამისად თევზჭრაზე მოლუსკ რაპანის და "ჩრდილოვანი თევზჭერის" უარყოფითი ზეგავლენის შემცირება-ზღვის გარემოს შენარჩუნება და ადგილობრივ მოსახლეობაში თევზჭერით მიღებული შემოსავლების ზრდა.

ასოციაცია ფლორა და ფაუნა, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მხარდაჭერით, ახორციელებს ერთწლიან პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს შავი ზღვის ეკოსისტემის შენარჩუნების ხელშეწყობას და ორი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას: 1. ზღვის ბიომრავალფეროვნებაზე მტაცებელი მოლუსკ რაპანის კატასტროფული ზეგავლენის შემცირებას და 2. "ჩრდილოვანი თევზჭერის" (ზღვაში დაკარგულ და გადაყრილ სახლართ ბადეებში თევზები ებმებიან და ილუპებიან) პრობლემის მოგვარებას.

პროექტის განხორციელების არეალი მოიცავს შავი ზღვის სანაპირო ზოლს (აჭარა, გურია და სამეგრელო). აღნიშნულ პრობლემებზე საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდის მიზნით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია აქტიური საინფორმაციო კამპანიის, ლექციების, სემინარებისა და მრგვალი მაგიდების ჩატარება, ასევე სპეციალური ბროშურების გავრცელება. გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს რაპანას ჭერის უსაფრთხო მეთოდების დანერგვას.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მეთევზეთა შერჩეული ჯგუფებისათვის ტრენინგების ჩატარება წყალქვეშ ცურვაში (დაივინგში) და მათთვის დაივინგის სპეციალური აღჭურვილობების შექმნა. აკვალანგებით აღჭურვილი, წინასწარ შერჩეული ბრიგადები ვალდებულნი არიან აწარმოონ რაპანას ჭერა, რაც ხელს შეუწყობს შავი ზღვი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ხოლო რაპანას გაყიდვით მიღებული შემოსავლების შედეგად გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ასოციაცია მეთევზეთათვის ჩაატარებს სემინარებს/ტრენინგებს რაპანის ჭერისათვის საჭირო, სპეციალური მახეების დამზადებასა და გამოყენებში. ამას გარდა, მყვინთავები ზღვიდან ამოიღებენ გადაყრილ და დაკარგულ ბადეებს. პროექტის ფარგლებში გამოიცემა სპეციალური ბუკლეტი "რაპანის კერძები და ნიჟარის გამოყენება". პროექტთან დაკავშირებული ყველა მასალა და ინფორმაცია აიტვირთება ორგანიზაციის ვებ ვერდზე: www.florafana.org.

საგრანტო თანხა: \$76,102

საგრანტო პერიოდი: 12 თვე (24 მარტი, 2010 - 31 მარტი, 2011)

ასოციაცია ზეკარი

მაღალმთიანი რაჭის რეგიონის ეროზიული ფერდობების აღდგენის მოდელის შემუშავება და ერთ-ერთი ასეთი ტიპიური ფერდობის საჩვენებელი აღდგენა

პროექტის მიზანია ეროზიის ნეგატიური ზეგავლენის შემცირება და მეწყერების პრევენცია მაღალმთიანი რაჭის რეგიონში. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მხარდაჭერით, ასოციაცია ზეკარი ახორციელებს 10-თვიან პროექტს, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხო და ეფექტური მექანიზმების დანერგვას, ეროზიული ფერდობების აღსადგენად და აღნიშნულ პრობლემაზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო კამპანიის ჩატარებას ადგილობრივ მოსახლეობაში. პროექტის ფარგლებში ასოციაცია მოამზადებს, გამოსცემს და გაავრცელებს სპეციალურ ბროშურას ეროზიული ფერდობების აღდგენის სპეციფიკაზე. საზოგადოებისათვის შეთავაზებული მექანიზმის გამოცდის მიზნით, მოხდება წინასწარ შერჩეული საჩვენებელი ფერდობის აღდგენა. ორგანიზაცია გამართავს შეხვედრებს/ სემინარებს იმ 9 სათემო დასახლებაში, სადაც ეროზია და მეწყერი დიდ პრობლემას წარმოადგენს. პროექტი ხორციელდება ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით.

საგრანტო თანხა: \$21,371

საგრანტო პერიოდი: 10 თვე (1 აპრილი, 2010 - 1 იანვარი, 2011)

აჭარის მდგრადი განვითარების ასოციაცია

საქართველოს დაცული ტერიტორიების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, ალტერნატიული ენერჯის წყაროების დანერგვითა და ტურიზმის განვითარების მეშვეობით

დაცული ტერიტორიების მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, აჭარის მდგრადი განვითარების ასოციაცია ახორციელებს 3-თვიან პროექტს აჭარის რეგიონში (მტირალას ეროვნული პარკი და კინტრიშის დაცული ტერიტორია). პროექტი ითვალისწინებს ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ადგილობრივ მცხოვრებთათვის ცოდნის მიწოდებას ეკო-ტურიზმის მეშვეობით შემოსავლების მიღების შესაძლო ღონისძიებებზე. პროექტის ფარგლებში ორგანიზაცია დაამონტაჟებს ჰელიო სისტემებს (მზის ენერჯიაზე მომუშავე მუდმივი დენის წყარო) და წყლის გამაცხელებლებს ტურისტულ ცენტრებსა და საოჯახო სასტუმროებში და უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ეკოლოგიურად უსაფრთხო, ენერჯის ალტერნატიულ წყაროების მოხმარების უპირატესობებზე. ტურისტულ მომსახურებაზე ადგილობრივი მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული მხარეების პრაქტიკული ცოდნის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს თანამშრომლობა ასევე 2010 წლის ეკო-გრანტების პროგრამაში გამარჯვებულ საქართველოს ტურიზმის ასოციაციასთან, რომლის თანამშრომლები უსასყიდლოდ მიიღებენ მონაწილეობას სემინარ/ტრენინგში.

ეკო-გრანტების პროგრამაში გამარჯვებულ პროექტებს შორის აქტიური თანამშრომლობა, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მტირალას ეროვნული პარკისა და თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებსა და მოსახლეობას შორის თანამშრომლობას,

ინფორმაციისა და გამოცდილებას გაცვლას, სხვა ღონისძიებების, მაგალითად სასწავლო ტურების დაგეგმვა-განხორციელებას.

საგრანტო თანხა: \$31,084

საგრანტო პერიოდი: 3 თვე (24 მარტი, 2010 - 30 ივნისი, 2010)

საქართველოს ტურიზმის ასოციაცია

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების მდგრადობის გაზრდა

მდგრადი ტურიზმის განვითარების მიზნით, საქართველოს ტურიზმის ასოციაცია ახორციელებს 7-თვიან პროექტს, რომელიც მოიცავს საქართველოს სამ დაცულ ტერიტორიას, კერძოდ, თუშეთის, ბორჯომ-ხარაგაულისა და ალგეთის დაცულ ტერიტორიებს. პროექტი მიზნად ისახავს ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ცოდნის ამაღლებასა და ახალგაზრდების აქტიურ ჩართვას ბუნების კონსერვაციაში.

მდგრადი პროდუქტების და სერვისების განვითარებისათვის, საქართველოს ტურიზმის ასოციაცია იმუშავებს თითოეული დაცული ტერიტორიის ადგილობრივ მოსახლეობასთან. პროექტის ფარგლებში, თუშეთის დაცული ტერიტორიების ხუთ საოჯახო სასტუმროში დამონტაჟდება ჰელიო სისტემები და წყლის გამაცხელებლები. თუშეთისა და ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე გაუმჯობესდება ადგილობრივ მეწარმეთა და პოტენციურ პარტნიორთა პრაქტიკული ცოდნა ტურისტულ მომსახურების კუთხით. პროექტი ხელს შეუწყობს აღნიშნული დაცული ტერიტორიების რეიჯერებსა და ახალგაზრდებს შორის ერთობლივი პროგრამების განხორციელებას.

პროექტი ხორციელდება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან პარტნიორობით. ამავდროულად, საქართველოს ტურიზმის ასოციაცია მჭიდროდ ითანამშრომლებს 2010 წლის ეკო-გრანტების პროგრამაში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან - აჭარის მდგრადი განვითარების ასოციაციასთან, რომლის მიერ განხორციელებული პროექტი ასევე ითვალისწინებს ჰელიო სისტემების დამონტაჟებას მტირალას ეროვნულ პარკსა და კინტრიშის დაცულ ტერიტორიაზე.

ეკო-გრანტების პროგრამაში გამარჯვებულ ორგანიზაციებს შორის აქტიური თანამშრომლობა, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მტირალას ეროვნული პარკისა და თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებსა და მოსახლეობას შორის აქტიურ თანამშრომლობას, ინფორმაციის გაცვლითი ღონისძიებების, მაგალითად, სასწავლო ტურების მოწყობის მეშვეობით.

ამას გარდა, 2010 წლის ეკო-გრანტების პროგრამის ინიციატორებს და მხარდამჭერებს, კერძოდ BP-სა და მის პარტნიორებს ნავთობისა და გაზის პროექტებში, შეუერთდა HSBC ბანკი 15 000 აშშ დოლარის ფინანსური კონტრიბუციით. აღსანიშნავია, რომ ბანკი მიიღებს მონაწილეობას პროექტის მსვლელობაში, კერძოდ დაგეგმილია თანამშრომლობის ჩართვა საინფორმაციო დაფების დამონტაჟებასა და ტურისტული მარშრუტების მარკირების

პროცესში, აგრეთვე ახალგაზრდა რეინჯერებთან ერთად კონკრეტული ტერიტორიების გაწმენდით სამუშაოებში მონაწილეობა და ა. შ.

საგრანტო თანხა: **\$60,131**

საგრანტო პერიოდი: **7 თვე** (1 აპრილი, 2010 - 18 დეკემბერი, 2010)

სასოფლო საკონსულტაციო სამსახური

ეკოლოგიურად უსაფრთხო საძოვრები

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის წინასწარ შერჩეულ მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი საძოვრების მენეჯმენტის მიზნით სასოფლო საკონსულტაციო სამსახური განახორციელებს 16-თვიან პროექტს. პროექტი ითვალისწინებს თემის ინფორმირებულობის დონის ამაღლებას, ეკოლოგიური რისკების თავიდან ასაცილებლად, საძოვრების რაციონალური გამოყენების მეშვეობით. ორგანიზაცია ჩაატარებს ტრენინგებს, როგორც მიზნობრივი, ისე მიმდებარე სოფლების მოსახლეობისათვის. დაახლოებით 300 ფერმერი, რომლებიც აქტიურად იყენებენ საძოვრებს, მიიღებენ საჭირო ინფორმაციას საძოვრების მართვისას ხარჯთსარგებლიანი და ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენებაზე. სასოფლო საკონსულტაციო სამსახურის პარტნიორი სათემო ორგანიზაციები საჭირო ინფორმაციას გაავრცელებენ ადგილობრივ მოსახლეობაში, ბუკლეტების და ბროშურების მეშვეობით. გრანტის მიმღები ორგანიზაცია შეარჩევს სამ ნაკვეთს, სადაც მოხდება საძოვრების ეკოლოგიურად უსაფრთხო გამოყენების მეთოდის დემონსტრირება. შეთესვა მოხდება საქართველოსათვის ინოვაციური ტექნოლოგიის, ე.წ. "ოვერსიდერის" გამოყენებით. ორგანიზაცია შეისყიდის შეთესვისათვის საჭირო სპეციალურ დანადგარს და პროექტის დასრულების შემდეგ, აღნიშნულ სერვისს უფასოდ შესთავაზებს ადგილობრივ ფერმერებს. გარდა ამისა, დამატებით შეირჩევა სამი ნაკვეთი, სადაც შეიქმნება რეზერვაციები სასრგებლო ენტომოფაგებისა და ფლორისათვის, რომლებიც ბუნებრივად უწყობენ ხელს საძოვრების აღდგენას. პროექტის დასასრულს, მომზადდება სპეციალურ ბროშურა, პროექტით გათვალისწინებული აქტივობების შედეგების შესახებ.

საგრანტო თანხა: **\$46,278**

საგრანტო პერიოდი: **16 თვე** (1 ივნისი, 2010 - 30 სექტემბერი, 2011)